საქართველოს სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციონ. პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 38

ოქტომბერი

1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდაწყვეტილნი შვილები: დომენტი და ივანე გიორგის ძე არონიშიძეები, რძლები: ზინაიდა გიორგის ასული, ელისაბედ კონსტანტინეს ასული და ქვრივი ანასტასია ნიკოლოზის ასული, ქალიშვილები: ნინო და ელისაბედ გიორგის ასულნი, სიძეები: არჩილ სტეფანეს ძე დარეჯანაშვილი და გიორგი ვასილის ძე კვერნაძე, შვილიშვილები: რუსუდანი, ეთერი, ოლიმპიადა, ანეტა, ალექსანდრა, თინათინ, შალვა და ვასიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობარ—ამხანაგებს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაუვიწყარ

## მარიამ ოტიას ასულ ნიკოლაიშვილ-არონიშიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე ნავთლუღში კუტილოვსკის ქ. № 11 სამხედრო ჰოსპიტლის პირდაპირ. დაკრძალვა ოქტომბრის 6-ს წმიდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 12 საათზე კახეთის და პესკის ქუჩებით.

ტფილისელი ამხანაგები აუწყებენ ამხანაგებს და მოქალაქეებს თავდადებულ რევოლიუციონერის, ძვირფას

## ამხ. ნიკოლოზ (ჰარმენ) გაბრიელის ძე ჭიჭინაძის

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებული ასვენია რესპუბლიკის მთავარ (მიხეილის) საავადმყოფოს ეკლესიაში. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, ოქტომბრის 9-ს დილის 12 საათზე.

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს და დეპოს მუშა-ამხანაგები აუწყებენ ამხანაგებს და მოქალაქეებს მებრძოლ რევოლიუციონერის და საზოგადო მოღვაწის

## ამხ. ნიკოლოზ (ჰარმენ) გაბრიელის ძე ჭიჭინაძის

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებული ასვენია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (მიხეილის) ეკლესიაში; გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, ოქტომბრის 9-ს დილის 12 საათზე.

კვირას, ოქტომბრის 9-ს, ტფილისში ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. 13) გაიხსნება

## სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა

დღიური წეს რიგი:

1) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ ა. აბაშელი და კ. მაყაშვილი.
2) ფინანსიური ანგარიშების შესახებ ი. ალაძე და ვ. რუხაძე.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) სახელმწიფო გამომცემლობა და მწერალთა კავშირი ტიციან ტაბიძე და ვ. კოტეტიშვილი.
5) „რაბისი“ და მწერალთა კავშირი ა. აბაშელი.
6) ხელოვნების სასახლის ორგანიზაცია ტიციან ტაბიძე.
7) სამეურნეო საბჭოს დაარსება.
8) მიმდინარე საკითხები.
9) საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პროვინციიდან ჩამოსულ მწერლებს საბჭოსაგან მიეცემათ გზის ფული, სადილი და ბინა. ყრილობა გაიხსნება დილის 12 საათზე.

მწერალთა კავშირის საბჭო.

## მოლიპულ გზაზე

რუსეთში ანტიბოლშევიკური ძალები ზოგსაც კიდევ შუა ადგილი უჭირავს. თითქოს აღარ ებრძვიან საბჭოებს და წამოაყენეს ლოზუნგი: გაუმარჯოს საბჭოების დიქტატურას! ძირს პარტიის დიქტატურაო. ამ ლოზუნგის მიზანი აშკარაა და ბოლშევიკების გადმოცემით კადეტებიც კი უჭერენ მას მხარს.

ამ იერიშების მოგერიებას ცდილობს ნ. ბუხარინი წერილში: „მუშათა კლასის პარტია“, რომელიც გადმობეჭდილი იყო „პრავდა გრუზიის“ № 162-ში და „კომუნისტის“ № 171-ში.

ეს წერილი ჩვენ ყურადღებას იქცევს იმ მხრით, რომ პარტიის დიქტატურის გასამართლებლად ავტორი ეყრდნობა ისეთ სახიფათო თეორიას, რომლის ლოღიკურმა განვითარებამ შეიძლება მიგვიყვანოს მეტად არა სასურველ დასკვნამდე.

აი მოკლედ ბუხარინის არგუმენტაცია: მუშათა კლასი არ წარმოადგენს აბსოლუტურად ერთგვარ მასას. ის შესდგება სხვა და სხვა ხარისხის და ღირსების მქონე ნაწილებისაგან. ზოგი ახალ გაპროლეტარებულია, ზოგი დიდი ხნის ზოგსაც კიდევ შუა ადგილი უჭირავს. ამ სხვა და სხვა მდგომარეობის ნაწილებს სხვა და სხვა პროლეტარული ღირებულება აქვს.

ბრძოლის დროს ამ ნაწილებს არ შეუძლიათ ერთნაირ მოქმედება თავისთავად. საჭიროა გამაერთიანებელი ხელმძღვანელი. ეს როლი უნდა იკისროს კლასის უფრო შეგნებულმა, მოწინავე ნაწილმა. „სწორედ ასეთი ნაწილი არის პარტია. პარტია—ეს არ არის კლასი, არამედ ნაწილი კლასისა, ხშირად მისი ძალიან პატარა ნაწილიც. მაგრამ პარტია არის თავი კლასისა“. ეს ყველაზე უკეთესად გამოხატავს კლასის ინტერესს. ამიტომ პარტიის დიქტატურა, ეს კლასის დიქტატურაა.

„მაგრამ მდგომარეობის“ კაპიტალისტური პირობებიც და დაბალი კულტურული დონე, რომელზედაც სდგას არა მარტო მუშათა კლასი, არამედ დანარჩენი კლასებიც, ქმნიან ისეთ გარემოებას, რომ ავანგარდიც, ე. ი. მისი პარტიაც არ არის ერთგვარი“. ამრიგად „სრული ერთფეროვანება ნამდვილად თვით ავანგარდშიაც არ არსებობს. და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომელიც საჭიროდ ხდის ცოტათ თუ ბევრად მტკიცე შეჯგუფების ხელმძღვანელებისას, რომელთაც ჩვენ „ბელადებს“ ვუწოდებთ. კარგი ბელადები სწორედ იმიტომ არიან ბელადები, რომ ისინი ყველაზე უკეთესად გამოხატავენ პარტიის უტყუარ ტენდენციებს“.

ავტორი ამას იქით აღარ მიდის თავის მსჯელობაში. მაგრამ მსჯელობა არ არის დათავებული. შეგვიძლია გავაგრძელოთ, თუ საჭიროებამ მოითხოვა და მაშინ მივალთ იმ დასკვნამდი, რომ ამ ბელადების დიქტატურა უნდა ვსცნოთ პარტიის დიქტატურად, იმავე ლოღიკის ძალით, რომელთაც პარტიის დიქტატურა ვსცანით კლასის დიქტატურად.

მაგრამ არც აქ შეიძლება დავსვათ წერტილი; ვინაიდან სრული ერთფეროვანება ნამდვილად არც ბელადებში შეიძლება არსებობდეს, ვინ დაუშლის რომელიმე მათგანს ამავე ლოღიკის ძალით მოითხოვოს ბელადთა ბელადობა? ხომ შეიძლება გამოჩნდეს ისეთი პიროვნება, რომელიც ყველაზე უკეთესად გამოხატავს კლასის და პარტიის ინტერესებს? და ამ შემთხვევაში ბუხარინის თეორია გვაიძულებს გავამართლოთ პიროვნული დიქტატურა ცეზარისა და ნაპოლეონის, ვინაიდან ცხადია ისინი საუკეთესო გამომხატველი იყვნენ იმ კლასისა, რომელსაც ეყრდნობოდნენ.

ამიტომ ეს თეორია არაა ხელსაყრელი მუშათა კლასისათვის. მან ყოველგვარი შესაძლებლობა უნდა გაითვალისწინოს და არ მისცეს სანქცია ისეთ წესს, რომელიც, თუ გინდა უკიდურეს შემთხვევაში, ძალაუფლებას ხელიდან გამოაცლის და კლასის დიქტატურას ფიქციად აქცევს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ მაგალითი, სადაც სამოქალაქო ომმა ისეთი პირობები შექმნა, რომ რესპუბლიკას იმპერატორები განაგებდნენ.

უდავოა, რომ სამოქალაქო ომში ის მხარე გაიმარჯვებს, რომელსაც უკეთესი ორგანიზაცია აღმოაჩნდება და უფრო მტკიცე დისციპლინა. ამ ორი პირობის შესაქმნელად კი, რაც აუცილებელია გამარჯვების უზრუნველსაყოფად, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს დიქტატურა. მხოლოდ დიქტატურის უფლებით შეიძლება მასის მიზანშეწონილად გამოყენება რევოლიუციის მიზნებისა და საჭიროებისათვის. სამოქალაქო ომის პერიოდში აუცილებელია გამაერთიანებელი ხელმძღვანელი ორგანო, მაგრამ არ შეიძლება ეს ორგანო მივიღოთ კლასის განსახიერებად და დავაყენოთ მის ადგილზე.

პროლეტარიატის დიქტატურა იმით განირჩევა პიროვნული და ოლიგარხიის დიქტატურისაგან, რომ ის არის კლასის დიქტატურა, კლასის განსახიერება პიროვნებაში ან ჯგუფში, რაზედაც ემყარება ბუხარინის თეორია, წმინდა წყლის მეტაფიზიკაა.

გარდა ამისა ფაქტია, რომ არც ერთ ქვეყანაში მუშათა კლასი არაა გაერთიანებული ერთ პარტიაში. ყველგან რამოდენიმე მუშათა პარტიებია და უმთავრესად ყველა მარქსისტული. ასეთ პირობებში პარტიის დიქტატურას განხეთქილება შეაქვს თვით კლასში და კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად გაიმართება პარტიული ბრძოლა მუშებს შორის, რითაც ისარგებლებს მოპირდაპირე კლასი..

ომეგა.

## ამხ. ს. ამაღლობელის წერილებისა გამო

მას შემდეგ რაც ჩვენში ქალთა სწორუფლიანობა ოფიციალურად გამოცხადდა ბევრი გულწრფელად დარწმუნებულია, რომ ამით ქალთა საკითხი ამოიწურა და ქალებს, როგორც ასეთებს არავითარი ბრძოლის ობიექტი არ დარჩენია და ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებს ყოველი აზრი და მნიშვნელობა დაკარგული ქონდეს.

ამავე აზრის არის ამხანაგი ს. ამაღლობელი, რომელმაც გაზეთ „ტრიბუნის“ 32. 33. 33—4 №№-ში რამდენიმე წერილი დაბეჭდა „ქალთა ორგანიზაციების“ შესახებ. ქალთა ორგანიზაციების მოწინააღმდეგეთა შორის ბევრი ანტიფემინისტიც თავს იფარავს და სარგებლობს რა საარგუმენტოდ დღევანდელ ქალთა იურიდიული უფლების გამოცხადებით, ქალების დამრიგებლადაც გამოდიან და გვასწავლიან თუ რა ჯობია ჩვენთვის.

ს. ამაღლობელი ჩვენ ვფიქრობთ ამ უკანასკნელთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს და მით იწვევს ის ჩვენ პასუხსაც. მისი აზრით დღეიდან „ქალთა ორგანიზაცია შესაძლებელია მხოლოდ პარტიის ფარგლებში, ისე როგორც ახალგაზრდათა ორგანიზაცია და სხვა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაცია“ *) კატეგორიულად აცხადებს იგი.

ასეთია ს. ამაღლობელის ვეტო. და ჩვენ ვეკითხებით ამხ. ამაღლობელს რისი მაჩვენებელია ეს სწორუფლებიანობის თუ არა სწორუფლებიანობისა? კომუნისტურ 3. ც. ქ. ორგანო „უწყების“ მე-2—3 № ში ჩვენ ვკითხულობთ; „ყველა ქალთა ქვე-განყოფილებებმა უნდა მიაქციონ ყურადღება იმას, რომ არსად არ დაარსდეს ცალკე ქალთა კავშირი, წრეები და სადაც ასეთი არსებობს უნდა დაიშალოს იგი და გარდაიქმნას ახალ ნიადაგზე“ ე. ი. მოექცეს კომუნისტურ პარტიის ფარგლებშიო. როგორც ვხედავთ ამხანაგო სერგო, თქვენსა და კომუნისტებ შორის ამ საგანზე სრული სოლიდარობა სუფევს, მხოლოდ ასეთი სოლიდარობა ამავე საგანზე არ არსებობს ჩვენში,— ქალებში. ქართველ ქალთა შეგნებული ნაწილი, რომლებსაც თვით, შეუგნიათ მთელი უკუღმართობანი ქალთა მონური ცხოვრებისა და არა ამა თუ იმ სოციალისტური პარტიის პროგრამიდან და წიგნებიდან ამოუკითხავს იგი, ღრმათ დარწმუნებული არიან ქალთა ორგანიზაციების საჭიროებაში, და ამ ნიადაგზე როგორც სოციალისტურ, ისე არა სოციალისტურ მიმართულების ქალებთა შორის არის უთანხმოება, რომელი მათგანი გამოვა უფრო მართალი და ვისი შეხედულობა გაიმარჯვებს ამ საკითხში, ამას მომავალი დაგვანახებს. მხოლოდ ჩვენთვის კი ცხადია, რომ ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებს ქართველი სოციალისტები განსაკუთრებულად პარტიისა ომს უცხადებენ, რომელშიაც ჩვენ გაბატონებული სქესის ვეტოსა ვხედავთ შესაზღუდავ ქართველ ქალთა თვითმოქმედებისა.

ამხანაგო სერგო, როგორც თქვენი წერილიდან სჩანს თქვენი ამხედრება ქალთა ორგანიზაციების წინააღმდეგ არ ახალია,—ძველია!

„დიდი იყო გმირობა და ალტყინება იყო ქალთა ორგანიზაციებისა, დიდი დემონსტრაციები, დიდი პროტესტები, კრებები და ყრილობები წარმოშვა ქალთა მოძრაობამ, მაგრამ მან ვერ მოიტანა ის შედეგი რისთვისაც იყო ასეთი ორომტრიალი გაჩაღებულიო „(sic) ამბობთ თქვენ“. ქალთა ორგანიზაციებმა ამხანაგო, ორომტრიალი კი არ შექმნეს, არამედ ნამდვილი ქალთა რევოლიუცია, რომელიც შეაჩერა მხოლოდ უდიდესმა ომმა კულტურულ მსოფლიოსამ და შედეგათ ის მოიტანა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი ბრძოლა ასტეხეს ქალებმა პირველ რიგში მათ ქალთა სწორ-უფლიანობა გამოცხადდა.

თქვენ ეს არაფერს გაძლევთ და არას გეუბნებათ, მაგრამ ეს იმას რაღაც ნიშნავს, რომ ქალებსაც არას გვაძლევდეს და არას გვეუბნებოდეს.

ვინ იცის როგორ დატრიალდებოდა დღეს საქმე ინგლისში, რომ ქალები ძველებურად უფლება აყრილი იყვნენ. მაგრამ თქვენ, რომ აშკარა მოპირდაპირე ხართ ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებისა თავიდანვე და არა მარტო დღეს, ამას თქვენივე სიტყვები გვიმტკიცებს: „არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტებიც, რომ ქალები ცდილობდენ ბრძოლას არა მარტო პოლიტიკურ უფლებებისათვის, არამედ ისინი „აწარმოებდნენ ბრძოლას ვაჟების წინააღმდეგ“ სწერთ თქვენ. თუ თქვენ სახეში მითიური ამაზონკები გყავთ მაშინ აქ ქალთა ორგანიზაციები არაფერ შუაშია და არც მოსატანი იყო ეს სიტყვები, მაგრამ თქვენ ლაპარაკობთ თანამედროვე ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებზე და თქვენი მამაკაცური გონების იმედი გაქვს, რომ ასეთს ულოღიკობას არ დაუშვებთ. საინტერესოა დაგვისახელოთ რომელ ქვეყანაში უცხადებდა ქალთა ორგანიზაციები ომს ვაჟებს როგორც ასეთებს. იცით ამხანაგო, რომ ჩვენთვის, სოციალისტ ქალებისათვის იმაზე მწვავე არაფერია, როგორც მტერის დანახვა იქ, სადაც მოყვრები გვეგულება ჩვენი ადამიანური ღირსებისა.

თქვენ უნდა იცოდეთ ამხანაგო, რომ ინგლისის სუფრაჟისტკებს დემონსტრაციებს მოწყობაში და მინისტრების ვილემის ცეცხლის წაკიდებაში, თვით ვაჟები ეხმარებოდენ და სხვა არა იყოს რა, ამისათვის მაინც არ გამოუცხადებდენ ვაჟებს, როგორც ასეთებს ბრძოლას. სოციალისტები კი სუფრაჟისტკებს იმას აყვედრიდენ, რომ ისენი პარტიის ფარგლებში არ იბრძოდენ. მაგრამ რამდენი ლოცვინი დასპირდებოდა მათ იურიდიული უფლების მიღებაში, რომ დამოუკიდებელ ბრძოლისათვის თავი დაენებებინათ და სოციალისტურ პარტიების გამარჯვებისათვის დაეცადათ, ამას დღეს ინგლისის მუშების და იქაური სოციალისტურ პარტიების საერთო მდგომარეობა გვიმტკიცებს. საზოგადოთ ქალებს კი არ ჩვევია

*) კურსივი ჩვენია.

მამაკაცების სიძულვილი, არამედ ვაქებს. ბიდეთ თუნდაც თქვენგან მოწონებული ვეინინგენ-, თუ რა ზიზღით არის გამსჭვალული ქალებისადმი და რას გირჩევთ თქვენ ვაქებს იგი.

თქვენი აზრით, ამხანაგო, ქართველი ქალის პიროვნული დაბეჩავება უმთავრესად ეროვნული ჩაგვრის მიზეზია. მედას რაც ელანდებოდაშის ესიზრებოდა არ, მაზე ითქმის. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ქართველი ქალის პიროვნება დაბეჩავდა როგორც ეროვნული, ისე კლასობრივი ჩაგვრის გამო და უმთავრესად ვაქთა ჰეგემონით.

თუ რომ 1918 წლამდე ჩვენს ქვეყანას მართავდა რუსის ბიუროკრატია, 1918 წლიდან ქართველ ბიუროკრატიას, რომ დაუჭირა მისი ადგილი თქვენ, ვერ დამარწმუნებთ ამხანაგო სერგო, უკანასკნელი ქალთა ადამიანურ პიროვნებას იცნობდა და მათ სწორუფლიანობას აღიარებდა. მე პირდაპირ ძრიელი ეჭვი მებადება მასში, რომ რუსეთის დიდ რევოლუციას, რომ არ გამოეცხადებინა ქალთა სწორუფლიანობა და არ გავრცელებინა 1917 წლის რუსეთის ტერიტორიაზე, რუსეთის დანაწილების შემდეგ გამოცხადდებოდა, თუ არა მთელი თავისი სისრულით ის საქართველოში? ეს ეჭვი თანდათან ძლიერდება ჩემში იმის მიხედვით, თუ როგორ უცქერის ქართველ ქალთა სწორუფლიანობას სოციალისტების უმრავლესობა საქართველოში, მეტსაც ვიტყვი ბოლშევიკების შემოსვლამდე ფაქტიურად ქალთა სწორუფლებიანობა არც არსებობდა საქართველოში, ერთი ორი ქალის სადეკორაციოთ გაყვანა დამფუძნებელ კრებაში, როცა განათლებულ ქალთა უმრავლესობა მემანქანისა და კანცელარიის მწერალთა ადგილის გარდა ვერას ეღირსებოდა, ათასი უვიცი უზნეო ვაქების გადიდკაცების დროს მათთვის საპასუხისმგებლო ადგილების დარიგებით ვერაფერი მაჩვენებელი იყო ქალთა სწორუფლებიანობისა.

კატო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბები

— ზუგდიდი. „პოლიტპროსვეტის" კოლეგიის დადგენილებით მაზრაში მოხდა სკოლების გაერთიანება. ხდება მასწავლებლების გადაჯგუფება. მასწავლებლების სიმცირე ხელს უშლის მაზრაში სავალდებულო სწავლის შემოღებას.

— უახლოეს დროში მოხდება მასწავლებელთა კონფერენცია, რომელზედაც საორგანიზაციო ცენტრის ინსტრუქტორი გაიცნობს მაცდინეობის ახალ სისტემას და ინსტრუქციას.

— სოფლებში გაგზავნილია ინსტრუქტორი, რომელმაც ადგილობრივ უნდა დაათვალიეროს, სად უნდა გაიხსნეს სამკითხველოები და სად არის შესაძლებელი კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების დაარსება.

— ოქტომბრის 9 ტფილისში, ხელოვნების სასახლეში გაიხსნება საქართველოს მწერალთა ყრილობა. ყრილობის პროგრამა უკვე დაამტკიცა სახალხო განათლების კომისარმა.

## უცხოეთი

მოსკოვი. მაშინ, როდესაც საზღვარგარეთელი კაპიტალისტები არამც თუ უარს ეუბნებიან დამშეულთ, კიდეც სცდილობენ ჩაშალონ დამშეულთა დამხმარე ორგანიზაციები, საზღვარ-გარეთელი პროლეტარიატი პირიქით იჩენს უდიდესს ენერგიულ თვითმოქმედებას. ევროპისა და ამერიკის მუშები, რომელნიც თვითონ განიცდიან უმუშევრობისა და ხელფასის სიმცირის საშინელებას, აქტიურებით გამოეხმაურენ დახმარების მოწოდებებს. ყველგან ხდება ხელფასის გადარიცხვა დამშეულთა სასარგებლოდ. ასეთი გადარიცხვა შემოღებულ იქმნა ჩეხო-სლოვაკიის ყველა პროფ. კავშირების მიერ შვეციის, საფრანგეთის და ინგლისის კომუნისტური პარტიების მიერ გამოცხადებულია დახმარების კვირა. სულ ერთი თვეა რაც ეს მოძრაობა დაიწყო, ანგარიშებიც კი შემოწირულებების შესახებ არ მიღებულა, მაგრამ ახლავე იცყვება, რომ ევროპისა და ამერიკის მუშების მიერ შეკრებილია სამ მილიონ მანეთზე მეტი ოქროთი. შეერთებული შტატების მუშებმა შეკრიბეს 2 მილიონი მანეთი ოქროთი. სულ მათი აზრით უნდა შეკრიბონ 40 მილიონი მანეთი ოქროთი შემოწირულება იკრიბება ფულით და ნივთებითაც. გერმანიის მუშები სწირავენ შვერს ინსტრუმენტებს. ბრემენის მუშებმა შესწირეს ერთი ლოკომოტივი, მეორე ქარხნის მუშებმა შესწირეს 1 ავტომობილი. ლიტვაში ციხეში მჯდომმა კომუნისტებმა უარი სთქვეს ულუფაზე დამშეულთა სასარგებლოდ. ბულგარიის მუშები თავის ნებით იკლებენ შვერს რამეს, როგორც მაგ. უარს ამბობენ თუთუნისა და ალკოგოლის ყიდვაზე, აწყობენ კოლექტიურ სამუშაობებს რუსეთის შაბათების მაგალითის მიხედვით, ბულგარეთის სოფლებში იკრიბება პური, კარტოფილი და ლობიო. იტალიის მუშებმა უკვე მოაწყვეს დახმარების კომიტეტი იტალიის მეზღვაურთა კავშირმა უკვე შეიტანა დამშეულთა სასარგებლოდ მილიონი ლირა. ასე და ამგვარად ეჯიბრებიან ერთმანეთს მთელი ქვეყნის მაშვრალნი უდიდეს საქმეში, როგორიც არის დამშეულთა დახმარება.

მოსკოვი. პარიზიდან იუწყებიან: ანატოლ ფრანსმა და ანრი მარშიუსმა გამოუშვეს მოწოდება, რომელშიაც მოუწოდებენ რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად და წინადადებას აძლევენ შემოწირულებანი გადასცენ პროლეტარიატის დამხმარე კომიტეტების განკარგულებაში.

ჰანოვერი. უმეტესობა ირლანდიის გაზეთებისა მოითხოვს ირლანდიის რესპუბლიკას სრულს დამოუკიდებლობას და საყოველთაო არჩევნებს ამ საკითხის შესახებ.

რიგა. ლატვიაში აქნობამდის დარჩა ძალაში მეფის სისხლის სამართლის დებულება, რომლის ძალითაც გაფიცვებში მონაწილეობისათვის ისჯება დამნაშავე 6 თვით ციხეში დატუსაღებით. ს.-დ.-მა ფრაქციამ დამფ. კრებაში შეიტანა კანონ-პროექტი. ამ დებულების მოსასპობად.

მოსკოვი. ამერიკის კომუნისტურმა პარტიამ დაადგინა, გადასდოს საარჩევნო კამპანია ნიუ-იორკის საქალაქო საბჭოში დემონსტრაციად პოლიტიკურად დევნის წინააღმდეგ. მიღებულია რეზოლუცია რომელიც გამოხატავს სოლიდარობას რუსეთის პროლეტარიატისადმი და მოწოდებას საბჭოთა რუსეთისადმი დასახმარებლად.

## რუსეთი

— საცელმწიფოებრივი მრეწველობა უკრაინაში. უკრაინის საქსოვ მრეწველობის განკარგულებაშია შალეულობის სამი ფაბრიკა, 30 მაუდის ფაბრიკა, 7 წინდების და ტრიკოჟის საქსოვი და 9 ბამბეულობის ფაბრიკა. ნაწილი ამ ფაბრიკებისა გაიცემა იჯარით.

მოსკოვი. (დაგვიანებით არ არის მიღებული). მენშევიკების ყოფა. მთავრობის პოლიტიკა პარიზში მაჩვენებელია იმისა, თუ რა კომპანიას აწარმოებენ საზღვარ-გარეთ საბჭოთა რუსეთთან წინააღმდეგ და ამხილებენ.—რა პოლიტიკურ კომბინაციებს აწყობენ ბ. ბ. ჟორდანია, ჩხეიძე და რამიშვილი ანტანტის წარმომადგენლობის ქვეშ.

## დადგენილება № 80.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა.

დაწესებულებათა, წარმოებათა და ქარხნების მიერ მუშა-მოსამსახურეთა სიების სავალდებულო შემოღების შესახებ.

I. ყოველი დაწესებულება, ქარხანა და წარმოება ვალდებულია შემოიღოს მუშა-მოსამსახურეთა სიები შემდეგი ფორმით.

1) სახელი, მამის სახელი და გვარი.
2) დაბადების წელი;
3) სად დაიბადა (მაზრა, ქალაქი, თემი);
4) მისამართი (მიწერილობის ადგილი);
5) ოჯახის ადგილ-საცხოვრებელი;
6) სპეციალობა (თუ რამდენიმეა,—ჩამოითვალოს ყველა);
7) რა თანამდებობა უჭირავს, ან რა გვარ მოვალეობას ასრულებს;
8) დაწესებულებისა ან წარმოების სამსახურში შესვლის დრო;
9) დამოკიდებულება სამხედრო მეგარისა ან;
10) მიღებული სწავლა-განათლება;
11) დრო და მიზეზი დათხოვნისა.

II. აღნიშნული სიები შემოღებულ უნდა იქნეს ყოველი დაწესებულებისა და წარმოების მიერ ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა და სათადარიგო წესით წარმართული დაწესებულებისა და წარმოების გამგეთა პასუხისმგებლობით.

III. ამ დადგენილების აღსრულებლობისათვის—თუნდაც ნაწილობრივად, დამნაშავე პასუხის-გებაში მიცემულ უნდა იქნეს შრომის დეზერტირობის მიმშვებლობისა და დახმარებისათვის.

IV. შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს დაევალებათ თვალყური იდევნა ცენტრში და ადგილობრივ ამ დადგენილების ასრულებისათვის; ხოლო აუსრულებლობისათვის დამნაშავეთა პასუხის-გებაში მიცემა.

V. დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ს. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე,

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხადარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 3.

ტფილისი-სასახლე.

## რეაქცია და მენშევიკები

რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის გამწვავებამ ყოველი ჯურის და რანგის რეაქციონერი გამოაფხიზლა. რევოლუციის მესაფლავენი გულის ფანცქალით მოელიან საბჭოთა სისტემის დამხვრევა, გლეხურ-პროლეტარულ დიქტატურის მოსპობას. ისინი ფიქრობენ, თუ გაძლიერდა ანტანტა და არ აიღო ხელი რუსეთის საკითხზე, ბოლშევიზმის ლიკვიდაცია აუცილებელი გახდება. ანატოლიაში ანტანტის შავი ზრახვების განუხორციელობა რეაქციონერთა ბანაკში ქმნის უდიდესად სანტიმენტალ სულიერ განწყობილებას, მაგრამ ის გარემოება, რომ რუსეთ-პოლონეთის დამოკიდებულება რთულდება, აძლევს მათ მომავლისაკენ ცქერის საშუალებას.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორია ამ შემთხვევაში ე. წ. „მუშათა პარტიის"—მენშევიკების პოზიცია რას ფიქრობს ეს ხალხი, როგორ აფასებს თანამედროვე მომენტს? საითკენაა მიმართული მისი სიმპატიები? სდგას თუ არა რევოლუციის ნიადაგზე?

მენშევიკებს საზოგადოდ ერთი მიზანი, ერთი იდეალი იტაცებს, სახელდობრ—ბოლშევიკურ რუსეთის დამარცხება. მერე რა მოყვება ამას, როგორი შედეგების წინაშე წარსდგებით ჩვენ აქით, რა ყოფაში ჩავარდება ქართველი ერი, ამას ისინი არ დაგიდევენ, ამის განჭვრეტა არ არის მათი უახლოესი საზრუნავი საგანი. ოღონდ მოისპოს ბოლშევიზმი, მერე ქვაც ნუ დარჩება ქვაზე! ისტორიული ფაქტია, რომ მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ბოლშევიზმის შიშით და გადაჭარბებულის სიძულვილით აღიარეს. დღესაც იგივე ბოლშევიკების სიძულვილმა ისინი პრაქტიკულ დასკვნების წინაშე დააყენა, იმპერიალისტებთან შეერთების აუცილებლობა დაუსახა. რას აკეთებენ ჩვენი ემიგრანტები ევროპაში? რათ ჰკარგავს მთელ დღეებს ბ-ნ ჟორდანია ლლოიდ ჯორჯთან აუდიენციის მოლოდინში? განა ალაპარაკებს და ამოქმედებს წერეთელ-რამიშვილს მშრომელი ხალხის ბედი და სიყვარული? პასუხი ერთადერთია—უარყოფითი. ამას საუცხოვო მაგალითს ჟორდანიას მოწოდება წარმოადგენს. მაშინ, როდესაც მე-3 ინტერნაციონალი მთელ ქვეყნის მუშებს დახმარებისაკენ მოუწოდებს, ჟორდანია-ჩხეიძეები ეხვეწებიან ევროპის ბურჟუაზიას და ეპატიჟებიან მას. დიახ, ძნელია ისეთი ხაზის შონახვა, რომელიც ყოფდეს ჩვენებურ მენშევიზმს ევროპის იმპერიალიზმისაგან.

ამრიგად, რეაქციის საკითხი მენშევიკურ აზროვნობაში გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს.

რეაქცია შეიძლება ორგვარი სახით მოგვევლინოს: 1) მას ჰქონდეს ეროვნული ხასიათი, ან 2) გარეშე ძალით იყოს გამოწვეული. პირველ შემთხვევაში რეაქცია იბადება თვით მასსაში, მთელი ხალხი მხედრდება ხელისუფლების წინააღმდეგ. ასეთი რეაქცია იქნება საშინელი ხასიათის და ყოველგვარ ჰუმანიზმს მოკლებული თავის ბუნებით. ამ შემთხვევაში მოისპობა არა მარტო მილიონი ცოცხალი, აქტიური ძალები რევოლუციის მამოძრავებელი, არამედ მცირე ერების ნაციონალი თავისუფლებაც. ასეთ რეაქციის მენშევიკებსაც ეშინიათ, იმიტომ კი არა, რომ რეაქციის სუსხი ყველაზე უფრო მოხვდება მათ, არამედ იმიტომ, რომ ისინი დაჰკარგავენ ბატონობის აღდგენის იმედებს. მაგრამ დიდის ხალისით უჭერენ მენშევიკები მხარს რეაქციის მეორე სახეს—გარეშე ძალის შემოჭრას რუსეთში. ჩვენ ვიცით, რა არის „გარეშე ძალა". ეს ძალაა ანტანტა. მართლაც, თუ გაიმარჯვა ანტანტას ზრახვებმა რუსეთში, მენშევიკებს, როგორც ყურმოჭრილ მონებს ბურჟუაკაპიტალისტებისა, არ მოელისთ არავითარი საგრძნობი უბედურება. სწორედ ამ მოტივითაა „ნაკარნახევი ჟორდანიას მოწოდება, სადაც ნათქვამია, რომ მშრომელ ხალხს ჩვენში „არ შეუძლია საკუთარი ძალებით თავზე დატეხილ უბედურების დაძლევა... გარედან უნდა მოვიდეს დახმარებაო". მენშევიკები ამბობენ: საბჭოთა მთავრობის ლიკვიდაცია გარეშე ძალით მოასწავებს ბურჟუაზიულ ძალა უფლების აღდგენას. მაგრამ ჩვენთვის, ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საქმის ნამდვილი ვითარება არ შეიცვლება არსებითად, ეროვნული „მე" არ შეილახება, დამოუკიდებლობა შეგვრჩება. ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა ევროპის მიერ ცნობილია როგორც de facto, ისე de iure-ო.

ასეთია მოკლედ მენშევიკების მარტივ მსჯელობის შინაბუნება. ყოველი გულწრფელი სოციალისტისათვის რეაქცია რევოლუციაში, რა გინდ სახის იყოს იგი, სამწუხაროა. მართლაც რომ მოხდეს სასწაული და გაიმარჯვოს ანტანტამ თანამედროვე რუსეთზე, ეს მოვლენა მოგვცემს იმის საბუთს, რომ ჩვენ და საზოგადოთ ყველა ერებს, შეგვრჩებათ დამოუკიდებლობა? ბურჟუაზიისათვის საერთაშორისო უფლება არას დროს არ ყოფილა წმინდა. ბურჟუაზიას შეუძლია ერთ დღეს ანი სთქვას და მეორე დღეს —განი. აქ დე ფაქტო და დე იურე არ გამოგვადგება. ეს მით უფრო ადვილი ასაშენებია და ჭეშმარიტებასთან დაახლოებული, რამდენად ჩვენი ცნობა ევროპის მიერ გამოწვეული იყო ბოლშევიზმის გაძლიერებით. მაშასადამე არ არსებობს არავითარი შანსები იმისა, რომ ანტანტის რეაქცია საშიში არ იყოს ჩვენი ეროვნულ თვითცნობიერებისთვის, კიდევ მეტი საქართველო, როგორც ეკონომიურად განუვითარებელ და ჩამორჩენილ ქვეყანას, ანტანტის კაპიტალისტები გამოიყენებენ საწველ ფურად და ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ყოველივე სიმდიდრეს. უპირველეს ყოვლისა საქართველო გახდება ბრიტანეთის კოლონია.

აი რას უჭერენ დღეს მხარს და რაზე ოცნებობენ მენშევიკები, როგორ ზხამავენ ისედაც მოწამლულ ატმოსფეროს. მშრომელი ხალხის, მუშათა კლასის მოვალეობაა ყური უგდოს მათ რეაქციონულ პოლიტიკას; ჩვენ კი მზათ ვართ რევოლუციასთან ერთად ენერგიული ზომები მივიღოთ მენშევიზმის განსადევნად პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზიდან.

გ. მუშიშვილი.

## მოწერილი ამბები

ფოთი. 12 აგვისტოს აქ ჩამოვიდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საგანგებო სამეული ამხ. ვ. ძნელაძის თავმჯდომარეობით. სამეულის ჩამოსვლის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენდა რასაკვირველია ხე-ტყის მომარაგების საკითხის მოგვარება ყოველ მხრივად, ხოლო განსაკუთრებით ფინანსების მხრივ. ამიტომ სამეულმა ფოთის ხე-ტყის დამამზადებელ რაიონის ბინაზე გამართა რამდენიმე სხდომები ადგილობრივი რევკომის და სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარეების მონაწილეობით. ამ სხდომებზე, სამეულმა, განსაკუთრებით, მისმა თავმჯდომარემ ამხ. ძნელაძემ დაწვრილებით გაეცნო ყველა იმ კითხვებს, რომლებიც მოითხოვენ გადაჭრას. ამხ. ძნელაძე ძალიან სწრაფად ერკვევა კითხვებში [illegible] დასკვნებს. ასე რომ ამ ნაირად ყველა დასმულ კითხვებზე [illegible] შესაფერი რეზოლუციები. კითხვათა შორის უფრო საყურადღებო იყო შემდეგი:

1. ფულით უზრუნველყოფა რაიონისა. ამ კითხვაზე სამეულმა დაადგინა: ფოთის რაიონს დღესვე გადაეცემა განსაზღვრული თანხა და ამასთანავე უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყის კომიტეტი კისრულობს ყოველ კვირეულად უგზავნოს განსაზღვრული თანხა რეგულიარულად.

2. იმ საკითხზე, თუ რა დამოკიდებულებაში უნდა იყოს ფოთის ხე-ტყის რაიონი ფოთის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამეულმა დაადგინა: ფოთის ხე-ტყის რაიონი ექვემდებარება უმაღლეს სახ. მეურ. საბჭოს სატყეო კომიტეტს და ასრულებს მისს ამოცანებს, ხოლო იმავე დროს ფოთის ხე-ტყის რაიონი შეადგენს ფოთის სახ. მეურნეობის საბჭოს ნაწილს და იმყოფება მასთან სრულს კონტაქტში; რაც შეეხება იმ ხე-ტყეს და შეშას, რაც სჭირდება ადგილობრივ საბჭოს თავისი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, საბჭომ უმაღლეს სატყეო კომიტეტისაგან უნდა მიიღოს ამაზე ნებართვა.

3 დამტკიცებულ იქნა ტყის დამზადების ფასები.

4. მიეცა რაიონის გამგეს ნებართვა გასცეს ხე-ტყის და შეშის დამზადებაგამოზიდვა იმ პირობით, რომ დამამზადებელთ სასყიდელი ფულის ნაცვლად ეძლიოს ნატურით, ესე იგი ხე-ტყის და შეშის ნაწილი; მხოლოდ პირობები წინდაწინ უნდა წარედგინოს სატყეო კომიტეტს განსახილველად.

5. დადგენილ იქნა კატერების კომანდას ეძლიოს ხარჯის ფული მგზავრობაში ყოფნის დროს, ნამდვილი ნახარჯის მიხედვით, აგრეთვე უნდა მიეცეთ მოსამსახურეთ მივლინების დროს ნახარჯები.

ამის შემდეგ სამეულმა გადასცა რაიონის გამგეს ტყავეულობა, მატყლი, ბამბა, ფქვილი და თუთუნი, რომელიც უნდა ეძლიოს მუშებს და მოსამსახურეთ დირებულ ფასებში.

გაეცნო რა ფოთის რაიონის საქმეებს დაწვრილებით, სამეულმა გამოუცხადა რაიონის გამგეს ამხ. გ. ა. საბახტარიშვილს, რომ სამეულის დადგენილებით თახსმდე ფოთის რაიონს შემოუერთდა ნატანების და ხეთის რაიონები, რომელთა გამგეობა დღიდან ევალება მასვე საბახტარიშვილს.

ამის შემდეგ სამეული გაემგზავრა ფოთიდან.

გამგე შეუდგა ახალი რაიონების ჩაბარებას. უკვე დაიწყო მუშაობას გამოცოცხლება.

მოხამსახური.

## ღია ბარათი

5 ოქტომბრისათვის გამოცხადებულია „პოეზიის საღამო". მიუხედავად ჩემგან უარის განცხადებისა საღამოში მონაწილეობის მიღების შესახებ, მონაწილეთა შორის მეც ვარ გამოცხადებული. უნდა ვანცხადო, რომ არავითარი კავშირი არა მაქვს ამ საღამოსთან და ზოგიერთ მონაწილეთა პატივისცემა, რომ არ მაიძულებდეს სხვაგვარ პასუხს გავცემდი ჩემი სახელის პროგრამაში მოთავსებისათვის.

გიონ ხაგანელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

დაჰკარგე სტუდენტის მოწმობა ძიცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდგან ლადიმერ ლუკას-ძე ჩურჯანძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს.

მათემატიკის მასწავლებელი
**ივ. მარ. მაჩაიძე**
(ყოფ. გიმნაზიის დამაარსებ. და გამგე)
**ამზადებს** საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებში შესახვედრად და მოწმობაზე. განმეორებითი საზაფხულო გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუსულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვადა ჩაწერა 7—8 ს. 3—6. 1284